

საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1 „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №26, 5.09.2003. მუხ.195) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სალიცენზიო/სანებართვო მოსაკრებლის გადამხდელები

1. სალიცენზიო/სანებართვო მოსაკრებლის გადამხდელები არიან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქმიანობებზე ლიცენზიის/ნებართვის მაძიებლები, გარდა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროს ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა“.

2. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა-ჰ“ და „ჯ-ჰ¹⁰“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხ) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია – 112 ლარი.“

4. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის დაემატოს შემდეგი შინაარსის „ხ¹“, „ხ²“, „ხ³“, „ხ⁴“ და „ხ⁵“ ქვეპუნქტები:

„ხ¹. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლიცენზია – 300 ლარი.

ხ². სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ლიცენზია – 300 ლარი.

ხ³. პათოლოგ-ანატომიური საქმიანობის ლიცენზია – 112 ლარი.“

ხ⁴. განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე საქმიანობის ლიცენზია – 112 ლარი.

ხ⁵. საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია – 112 ლარი.“;

5. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26¹ პუნქტი:

„26¹ . სტაციონარული დაწესებულების ნებართვა – 300 ლარი.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან.

2. ამ კანონის პირველი და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი